



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

10 ივლისი 2024



N 347/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიჩბისში შპს „ნათს ინჟორფორეტიდის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ნათს ინჟორფორეტიდის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიჩბისში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიჩბისში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.15.10.252; ფართობი: 18 554 მ²) კომპანიას დაგეგმილი აქვს დაახლოებით 7000-7200 ერთეული ნუშის ნერგის გაშენება, რომელთა სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სარწყავი სისტემის მოწყობა. აღნიშნული საკადასტრო ერთეული წარმოადგენს სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას და შპს „ნათს ინჟორფორეტიდი“ ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, 15 წლის ვადით. უახლოესი დასახლებული პუნქტი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 780 მეტრით, ხოლო წყალაღების წერტილიდან – 750 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრედ მიედინება მდ. ცინკარა, ხოლო დაახლოებით 50 მეტრში – მდ. მტკვარი. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 30 მეტრში მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – „კომკი მტკვრის პირას“.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნუშის ნერგების მოსარწყავად წყალაღება განხორციელდება მდ. მტკვრიდან, ელექტრო ტუმბოს საშუალებით, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-460934.13; Y-4635580.53. აღებული წყალი, დაახლოებით 75 მეტრი სიგრძის მქონე პოლიეთილენის მაგისტრალური მილსადენით (D – 100-200 მმ), მიყვანილი იქნება გამანაწილებელ სადგურამდე, საიდანაც ნუშის ნერგებამდე გადანაწილდება წვეთოვანი მილების საშუალებით. წვეთოვანი სარწყავი ქსელისთვის გამოყენებული იქნება D – 50/6 მმ, 63/6 მმ, 75/6 მმ და 90/6 მმ PVC მილები.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნუშის ნერგების მორწყვა დაგეგმილია სეზონურად, წელიწადში 7 თვის განმავლობაში (მარტი-სექტემბერი). საპროექტო ტერიტორიაზე გასაშენებელი 7000-7200 ნერგის მოსარწყავად საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს წელიწადში 75 600 მ³-ს. მოცემული რაოდენობით მდ. მტკვრიდან წყლის ამოღებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მდ. მტკვრის მოცემულ მონაკვეთზე არსებული წყალმომხმარებლების გათვალისწინებით, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება უმნიშვნელოა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამელიორაციო სისტემის მოწყობა არ საჭიროებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს. მაგისტრალური მილსადენის განსათავსებლად მოეწყობა 80 სმ სიღრმის მქონე ტრანშეა. სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 15 დღის განმავლობაში და შესრულდება ექსკავატორის გამოყენებით. დოკუმენტის თანახმად, წყალაღების წერტილიდან მაგისტრალური მილსადენი გაუყვება

არსებულ გრუნტის გზას, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მილსადენის დაახლოებით 15 მეტრი ხვდება მდ. მტკვრის ჭალაში, რომელიც დაფარულია ხე-მცენარეებით. მითითებულ ტერიტორიაზე ტრანშეის გაჭრა განხორციელდება ხელით. დოკუმენტის მიხედვით, გამანაწილებელი სადგურის მოსაწყობად (GPS კოორდინატები: X-460935.62, Y-4635512.15) მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომლის განფენაც, სამუშაოების დასრულების შემდგომ, მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე. სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ექსკავირებული გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის, გამოსაყენებელი ტექნიკისა და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპი, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ უკავშირდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის, გამოსაყენებელი ტექნიკისა და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოების პროცესში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. რაც შეეხება სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება წყალღების წერტილში განთავსებული ტუმბო. წყალღების წერტილიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით (დაახლოებით 750 მეტრი), სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სარწყავი სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია მუნიციპალური და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. მუნიციპალური ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალური სამსახური, ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორია ხვდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში და მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი რეგულაციები. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები და პირობები საფრთხეს არ უქმნის ძეგლს. ამასთანავე, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეჩერდება სამუშაოები და ეცნობება საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილია და თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისგან, ხოლო წყალღების წერტილიდან საპროექტო ტერიტორიამდე წყლის მისაყვანად გათვალისწინებული მაგისტრალური მილსადენის ტრანშეის მოსაწყობად, მდ. მტკვრის ჭალაში ხე-მცენარეების მოჭრის თავიდან არიდების მიზნით, სამუშაოები შესრულდება ხელით. დოკუმენტის მიხედვით, ტრანშეაში წვრილი ძუძუმწოვრების მოხვედრის პრევენციის მიზნით, თხრილის მოწყობის პარალელურად, მოხდება მიწების ჩაწყობა და უკუყრით დაფარვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე,

საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიჩბისში შპს „ნათს ინჟორფორეითიდი“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ნათს ინჟორფორეითიდი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნათს ინჟორფორეითიდა“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნათს ინჟორფორეითიდი“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/347-21-4-202407101142>

